საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/117

ქ. ბათუმი

11 სექტემბერი, 2020 წ

2020-2021 სასწავლო წლისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვალენსიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებისა და ბსუ-ს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნანა ყურშუბაძის 2020 წლის 11 სექტემბრის MES 2 20 0000814516 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში **ვალენსიის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში** (ინფორმაცია განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ველში) მობილობის განსახორციელებლად ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შერჩევის მიზნით და განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:

ა) **გამოცდა ინგლისურ ენაში (ტესტირება:** B1 დონის განმსაზღვრელი - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის, ვინც წარმოადგინა განაცხადი კანცელარიაში 1-11 სექტემბრის ჩათვლით) - **2020 წლის 15 სექტემბერი;**

ბ) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება ელექტრონულ ბმულზე (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დახმარებით) http://registration.bsu.ge და მატერიალური სახით ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით - **2020 წლის 16 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით** (10:00 სთ-დან 18:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს კონკურსანტებმა, რომლებმაც ჩააბარეს (გადალახეს) გამოცდა ინგლისურ ენაში (B1) ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

გ) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - **2020 წლის 28 სექტემბერი** - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის (საკონკურსო კომისიის) მიერ.

დ) გასაუბრება კონკურსანტებთან - **2020 წლის 29 სექტემბერი** (ჩატარდეს საკონკურსო კომისიასთან (მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, ბსუ-ს პირველი კორპუსი,

ოთახი №35). გასაუბრების ზუსტი დრო დამატებით ეცნობებათ სტუდენტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე;

ე) კონკურსანტთა სიების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტებში - **2020 წლის 30 სექტემბერი.**

2. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის ძირითადი შემადგენლობა:

ა) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე (თავმჯდომარე);

ბ) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი (თავმჯდომარის მოადგილე);

გ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

დ) ირაკლი კორძაია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ/შ;

ე) გაიოზ ფარცხალაძე-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.

3. სტუდენტების კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' განსაზღვრული კრიტერიუმებით და პროცედურებით.

4. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა თამარ სირაძემ.

5. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს), საკონკურსო კომისიის წევრებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და რექტორის მოადგილეებს.

6. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა (კონკურსების ველში) და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და კანცელარიამ, მათი კომპეტენციების შესაბამისად.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**